საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №7/04
2019 წლის 18 იანვარი

ქ. თბილისი

კომერციული ბანკების მიერ 200 000 ლარამდე სესხის/საბანკო კრედიტის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 64^1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-7 ნაწილის და 868-ე მუხლის მე-8 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

კომერციული ბანკები უფლებამოსილნი არიან 200 000 (ორასი ათასი) ლარამდე სესხები/საბანკო კრედიტები გასცენ უცხოური ვალუტით, თუ სესხის/საბანკო კრედიტის გაცემა ხორციელდება საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირზე ან/და საქართველოში არარეგისტრირებულ იურიდიულ პირზე.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „კომერციული ბანკების მიერ 100 000 ლარამდე სესხის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 13 იანვრის №4/04 ბრძანება;

ბ) „კომერციული ბანკების მიერ 100 000 ლარამდე საბანკო კრედიტის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 იანვრის №5/04 ბრძანება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 23 იანვრიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**